პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი სფეროდან: 0511 ბიოლოგია; 0512 ბიოქიმია; 0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები; 0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია; 0721 სურსათის გადამუშავება; 0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა; 0841 ვეტერინარია;

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი დამიმართულება;
- ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი ან წარმატებით დაძლიოს ინგლისური ენის B2 დონის ტესტური გამოცდა, რომელის ორგანიზირებას და განახორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საფეხურის ინგლისურენოვანი აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამა, გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება (ინგლისურენოვანი პროგრამის გავლა დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით - დიპლომით);
- შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევითპროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობისარანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრული სხვადოკუმენტაცია/ინფორმაცია.

კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციით სრულად აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს, გასაუბრებას გადის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. საფაკულტეტო დროებითი კომისია სტუ-ის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. მხედველობაში მიიღება კანდიდატის გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში) კანდიდატის სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

სრული ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების წესის და ჩარიცხვის პირობების თაობაზე, აგრეთვე ინგლისური ენის საგამოცდო ტესტების ნიმუშ(ებ)ი განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. https://gtu.ge/apply/phd.php/

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურების და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

გარე მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც.

უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია.

ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

პროგრამის მიზანია:

სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადება. სტუდენტმა მიიღოს სასურსათო ტექნოლოგიების სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნა, განუვითაროს კვლევითი, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები, რომლის გამოყენებით შეეძლება აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტებში, აითვისოს ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიები სურსათის წარმოებაში, დამოუკიდებლად დაგეგმოს და ჩაატაროს სამეცნიერო კვლევები, გადაჭრას საწარმოში პროდუქციის ხარისხთან წარმოშობილი ტექნოლოგიური პრობლემები, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, განსაზღვროს სურსათის წარმოების რისკები, შეაფასოს კვების პროდუქტების ხარისხი და უვნებლობა.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. ფლობს სასურსათო სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;
2. კრიტიკულად აანალიზებს სასურსათო სფეროს სამეცნიერო კომუნიკაციის და სამეცნიერო საქმიანობის რთულ იდეებსა და მიდგომებს. სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობას ქვეყნისა და რეგიონის დონეზე.
3. დამოუკიდებლად ახორციელებს სურსათის შემადგენლობის, ტექნოლოგიური პროცესების შეფასებას, სასურსათო სფეროში კვლევის დაგეგმვას და განხორციელებას; ახალი კვლევითი, ანალიტიკური მეთოდების შემუშავებას, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
4. დამოუკიდებლად შეუძლია სასურსათო სფეროში კვლევისას ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეების, მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი

დაშეფასება; პრობლემების გადასაჭრელად სწორი, ეფექტური დასკვნებისა და გადაწყვეტილებების მიღება, ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა; მომხმარებლების მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თვისობრივად ახალი სასურსათო პროდუქტების და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღება.

5. ახორციელებს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით სასურსათო სფეროში პრობლემის გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილების შემუშავებას; საპროექტო წინადადების, ახალი იდეების, არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას და მის მართვას;
6. დამოუკიდებლად აფასებს სურსათის უსაფრთხოებასთან და ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს და შეუძლია ISO, HACCP და სხვა საეთაშორისოსტანდარტების ინტეგრაცია საწარმოო პროცესში;
7. ასაბუთებს და გარკვევით წარმოაჩენს ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო სურსათის წარმოების ახალ მიდგომებს, სურსათის წარმოების კვლევის შედეგებს, დასკვნებს როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში;
8. იზიარებს და იცავს ეთიკური და პროფესიული პასუხისმგებლობის ნორმებს, პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ახორციელებს სასურსათო სფეროში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევებს სურსათის ეროვნული სტრატეგიის გათვალისწინებით
9. ახორციელებს სტუდენტთა სწავლებას უახლესი სწავლა-სწავლების მეთოდებისა და მათი სტრატეგიათა კომბინირებით.

შეფასების სისტემა:

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.
სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX) -** ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F) -** ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/common-rules.php

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:
ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:
https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/phd.php

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	4
2	სწავლების მეთოდები	6
3	ბიოტექნოლოგია	5
4	თემატური სემინარი-1	10
5	სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები (10 კრედიტი)	
5.1	შაქრისა და შაქარი რაფინადის ტექნოლოგია	5
5.2	სპირტი რექტიფიკატი და საბრენდე სპირტის ტექნოლოგია	
5.3	ინოვაციური ტექნოლოგიები ხორცის პროდუქტების გადამუშავებაში	
5.4	ინოვაციური ტექნოლოგიები რძის პროდუქტების გადამუშავებაში	
5.5	ეთერზეთების ტექნოლოგია	
6	სამეცნიერო კვლევის მეთოდები სასურსათო ტექნოლოგიაში	5
7	პროფესორის ასისტენტობა	10
8	სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები (15 კრედიტი)	
8.1	სასურსათო მჟავების ტექნოლოგია	5
8.2	ნახშირწყლების ქიმია	
8.3	ხარისხის მართვა და HACCP-ის სისტემები	
8.4	სურსათის ჰიგიენის ტექნოლოგია	
8.5	სასურსათო პროდუქტების იდენტიფიკაცია და ფალსიფიკაცია	

8.6	თემატური სემინარი - 2	15
	კვლევითი კომპონენტი	